**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

# ბრძანება N 2-115

01/03/2018 ქ. თბილისი

**სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილ ქ. თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. აკურას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის(სამეეარმეოდ)) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ „სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილი ქ. თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. აკურას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (**მიწისქვეშა მტკნარი წყლის(სამეწარმეოდ)**) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თელავის

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს (სოფ. აკურა) საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი